№ 224 ოქტომბერი 22, სამშაბათი 1891 ოქტომბერი 22, სამშაბათი № 224

გაზეთი ღირს

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

ივერია

გაზეთის დასაბეჭდად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, აჭშალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა. ულეერივი სტრიქონი რვა კაპიკი.

1877—1891 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891

ფელეტონი

ნიმუშები სამეგრელოს სიგელ-გუჯრებისა

II. გუჯარი რატიანთა.

(იხ. „ივერია“, № 213)

გუჯარი დაწერილია ქაღალდზე, სიგძე აქვს არშინი და სამი გოჯი, განი $3\frac{1}{2}$ გოჯი. წერა ნუსხა ხუცურია, საკმაოდ ლამაზი; მელანი მეთაურის ასოებისა წითელია, ტექსტისა—შავი. დროთა ვითარების გამო გუჯარი ალაგ-ალაგ ცოტა დაზიანებულია და ზოგიერთი სიტყვა აღარ განირჩევა.

ამ ერთს გრაგნილზე მოთავსებულია არა ერთი, არამედ სამი სხვა-და-სხვა დადიანის და სხვა-და-სხვა დროს გუჯარი, მაგრამ ხელი-კი სამისავე ნაწერისა ერთგვარია. ეტყობა, სამსავე მთავარს ერთი და იგივე კაცი ჰყოლია მდივნად, ანუ მწერლად.

ფრანგული თარგმანი ჩვენის გუჯრისა შემოაქვს თავის არხეოლოგიურს მოგზაურობაში განსვენებულს ბროსსეს (იხ. Voyage arch. IX Rapp. p. 39—43), მაგრამ როგორც გუჯარი-კი არა, არამედ როგორც წარწერა წაჩხურის მთავარ-ანგელოზის ხატისა. ეს გადუცია მისთვის სამეგრელოს უკანასკნელს მთავარს დავით დადიანს. თვით ბროსსეს არც წაჩხურის ხატი უნახავს და არც ეს გუჯარი. ჩვენ ძალიან ვეჭვობთ, რომ ამ გვარი წარწერა მართლა იყოს წაჩხურის ხატზედ. ჯერ ერთი, ასე გრძელი წარწერა ძნელად თუ რომელსამე ხატზე დაეტევა, რაც უნდა დიდი იყოს ხატი. მეორედ, თვით ბროსსესათვის გადაცემულს ასლში არის ნაჩვენები დადიანების ხელის-მოწერა და ბეჭედი, რომელსაც ხატზედ ადგილი არა აქვს. ამიტომაც, ჩვენის აზრით, ბროსსეს ჩავარდნია ხელში ასლი ჩვენის გუჯრისა და არა წარწერა ხატისა.

ეს გუჯარი ფრიად საყურადღებოა ჩვენთვის. პირველად მიტომ, რომ აქ მოხსენებული ფაქტები ემოწმება ჩვენს მატიანეში მოთავსებულს ცნობებს და ამით ამტკიცებს იმათს სიმართლეს. მეორედ იმიტომ, რომ აქ აღნიშნულია ზოგიერთი დაწვრილებითი ცნობა, რომელიც არ მოიპოვება სხვა წყაროებში, და ამით ავსებს ჩვენს ცნობებს. გარდა ამისა, გუჯარი ჰშველის დადიანების შთამომავლობის გამოკვლევას. ბროსსე ხშირად უჩვენებს თავისს ნაწერებში ამ წყაროს და ამაზე ამყარებს ზოგიერთს შემთხვევაში დადიანების „გენეალოგიურს ტაბლიცას“ (იხ. Hist. de la Géor. t. II, liv. 1. p. 259, n. 3; 278—280; 647).

მით უფრო სასიამოვნოდ მიგვაჩნია ამ გუჯარის ხელში ჩაგდება, რომ ბროსსეს თვით დედანი არ უნახავს და იმის ასლში, როგორც ეტყობა, ზოგიერთი ფრაზა და სიტყვა გამოშვებული ყოფილა, უკანასკნელი ხელის-მოწერა ნაჩვენები არ არის და ამიტომ არა სჩანდა, რომელს დადიანს ეკუთვნოდა ბოლო გუჯრისა. არის ორიოდე ისეთი ადგილიც, რომელიც ეხლა არ განირჩევა, მაგრამ ბროსსეს ასლში ყოფილა. უმთავრესს განსხვავებას ბროსსეს თარგმანისას ჩვენ სხოლიოებში ვუჩვენებთ. კილო და ენა ჩვენის გუჯრისა, როგორც ბროსსეც შენიშნავს, მართლა სავსეა ახირებულის ფორმებით და გრამატიკულის უკანონობით.

1. „ჵ შენ ღუთის წინაშე დგომისა, საცნაურისა ჭ პასუხ შუენიერისა, ღალადების მიცემისა, შემძლებელ მქონებელო, ძლიერებით და სიტკოებით მოუკლებელო, ცეცხლის-ფერად (ცცხლის ფერად) მქცეველო, ზეცის უსხეულოჲთა ძალთა ერის მთავარო 1), ამთავარ-ნგელოზო წაჩხურისაო, რომელს ახალ-გიც მყის მის წამს შემორებაჲ ცის კიდის კიდემდე, და სწრაფით რბინ ბრძანება შენი, მიქაელ და გაბრიელ მთავარ-ანგელოზო, ჩვენ მონამან თქვენმან, და მოსავმან, და მევედრებელმან სიწმინდისა შენისამან, ცვა-ფარვათა შენთა მინდობილმან, კელმწიფემან მრავალჯერ გამარჯუებულმან, დადიანმან-გურიელმან, ბატონმან ლევან,—შემოგწირეთ მცირე და კნინი ესე ძღუენი, ასრე რომე პაპა ჩუენის ლიონ (sic) დადიანი სტანბოლს წასულა, და რაც ოდიშს პატიოსანი საყდრები ყოფილა, იმისათჳს ზოგს ოცი, ზოგს ათი, ზოგს ხუთი შეუწირავს; ამ მთავარ-ანგელოზისა წაჩხურისათჳს შემოუწირავს წაჩხურული, და მისი შვილი 2) კაჰკუ, და მისი ძმა ჴრისტეკოჩი, ორმოცდა-და თორმეტი მოსახლე კაცი ორი სასახლეთ. და ქრისტეკოჩი სტანბოლს წაუტანიათ 3), და იქ პაპა ჩუენს გამარჯუებია, და იმათი ძალით 4) გამარჯუებული მოსულა, და ცხრა ხომალდი ბედნიერს ხუანთქარს წყალობად მიეცა, და მათს აქეთ წამობრძანებულა, ქრისტეკოჩი იქ სტანბოლს დაუგდია ხომალდების წინამძღურად, და მდივნობაც უბოძებია, და უფროსობაჲ ხომალდის. ასრე შეუწირავს ეს რატია, რომე მზის და წვიმის მეტი მის კარზე არაჲ მიდგეს რაჲ, არც დაჰირვაჲ, და არც გალარიბებაჲ, არცა ნაუშვილევი, და არცა ბეგარაჲ მართებია, და ასრე გაურიგებიან. ეს ძველი წიგნები ვნახეთ ლიონ დადიანის, მამიას, და მანუჩარის, და მამის ჩუენის, 5) და მოკითხული ვქენით და წიგნებიცაჲ ვნახეთ, ასრე შეწირული გამოვიდა. აწე ჩუენ ახლა განგვახლებია ეს შეწირული წიგნები, და ის ერის თავისა 6) ჰაერის მთავარ-ანგელოზის, და მთავარ-ანგელოზის წაჩხურის საყდრისათჳს ხატისათჳს, შეგჳწირავს რატია, გაბრიელ და ქაიხოსრო, და მისი შვილი პაპუნაჲ მისი ყმითა, ორი სასახლითა, ყმიან თავს შემოგვწირავს ჩუენდა სადღეგრძელოდ, განსამარჯუებელად და დღეთა ჩუენთა წარსამართებლათ, და მეცხედრისა ჩუენისა, ნესტან-დარეჯანისა კახელისა 7), სულის საკსარად და სახად, და განსანათებლად სულისა მისისა დღესა მას დიდსა განკითხვისასა, ასე რომე ყოველს წელიწადს სულის-წმინდის მოსვლის დღეს ცხრაჲ მღვდელი და მთავარი ჟამსა უწირვებდეს, თავათ რატია და სხვანი ხუცები. მის კარზე არაფელი (sic) მოდგებოდეს მზისა და წჳმის მეტი, არც დაჰირვა და არცა გალარიბებაჲ, არც ნაუშვილევი, არც ბე(გარი).... გაგჳრიგებია... ასე რომე ხატი-საყდრისათჳს სამსახურები, მთავარ-ანგელოზისათჳს პატივი, დაგჳც. აწე, რამანც ძმან და გვარმან კაცისამან... 8) ეს ჩუენგან ვარიგებული მოგიშალოს, მასაც მოეშლების ყოფაჲ და სიცოცხლე... 8) დამამტკიცებელნი ამისნი აკურთხნეს ღმერთმან, ამინ. 9)“

ბოლოს აზის ბეჭედი, რომელზედაც მხედრულად აწერია „ლევან დადიანი“, და შუაში კიდევ რაღაც თათრული წარწერაა. ბეჭედის შემდეგ მხედრულის ხელ-ჩართულით სწერია: „ლევან“.

2. „ბრძანებითა ღუთისათა ჩუენ ღუთივ აღმატებულმან, ღუთივ დამყარებულმან, ლიპარტიანმან ვამეყ, ოდეს ბიძის ჩემის შვილი, დადიანი ბატონი ლევან, მიიცვალა, მაშინ ალექსანდრე მეფე მოვიყვენეთ, ჩუენ გავბატონდით ოდიშს, დავიჭირეთ დადიანობაჲ. ამასობაში გამოვიდა ხანი და ჟამი, კელმწიფეთ კელმწიფე, მეფეთ მეფე, ბატონი ალექსანდრე, მიიცვალა, და ვიგულეთ და ვიგულსმოდგინეთ, დავიჭირეთ სრულიათ(სთ) იმერეთი და გავბატონდით იმერეთს, და გაველაშქრეთ გურიას ოდიშით და ლიხთ-იმერით (sic); ქაიხოსრო გურიელი გარდავაგდეთ, ჩუენი ცოლის ძმაჲ დიმიტრი გურიელი გავაბატონეთ გურიას. აწე ჩუენ კელმწიფეთ კელმწიფემან, მეფემ—დადიან-გურიელმან, ბატონმან ვამეყ და თანა-მეცხედრემან ჩუენმან დედოფალთ დედოფალმან ბატონმან ელენემ მოკითხულ ვქენით წაჩხურის: პაპა ჩუენი ლიონ დადიანი სტანბოლს წასულიყო, მისი გამარჯუებისათჳს რატია შეეწირა მთავარ-ანგელოზისათჳს წაჩხურული.... ქრისტეკოჩი... 10) „ჩუენ ახლა შეგჳწირავს გაბრიელ (წაჩხურული და მისი) ძმისწული პაპუნაჲ ორი სახლით და მისი შემოსავალით ჩუენდა სადღეგრძელოდ და გასამარჯუებლად.“ და რაც ზემოდ ლევან დადიანის დაწერილი ამ წიგნშიდ სწერია, ისრე ჩვენც განგჳახლებია მისი ბრძანებაჲ. ვინცა და რამანც ძმან კაცისამან ეს ჩუენგან გარიგებული მოშალოს, ისიმც შეიშლება რჯულისა ქრისტიანობისაგან, ჩუენი ცოდვის მუქმად (sic) განიკითხვის, ამინ და კირიალეისონ.“

ხელ-ჩართულად ხელს აწერენ: „ვამეყ, ელენე“. 11)

3. „ოდეს ბატონი ლევან დადიანი მიიცვალა მეფე ალექსანდრე მტერი იყო, დიდის ლაშქრით წამოვიდა, ოდიშს ჩამოვიდა, ვამეყ ლიპარტიანი გააბატონა, ოდიშის ბატონობაჲ მისცა, მე გარდამაგდეს, და მე, ლევან დადიანის ძმისწულმან, იესე ბატონიშვილის შვილმან, შამანდავლემ, ქართლით წაველი. ქართველ ბატონმან ისპაანს საყაინოში ბედნიერს ცათა სწორს კელმწიფეს ბატონს ყაენს შემახუეწა, ყაინმან ბრძანებითა მისითა თავად ქართველი ბატონი შარნაოზ 12) მეფე და მისი ლაშქარი გამოგვატანა, და იმერეთს და ოდიშს გამოუძახა, დიდის ლაშქრით იმერეთს ჩამოვედით, იმერეთი მეფემან მისთჳს დაიჭირა, და მისი შვილი არჩილ გააბატონა, იმერეთიდამ ოდიშს ჩამოვიდა, ვამეყ დადიანი გარდააგდო, ოდიში, ჩუენი საბატონო, ჩუენ გჳბოძა, და გაუბატონდით ოდიშს; მოკითხული ვქენით წაჩხურის: ძუელთაგან ლიონ დადიანი სტანბოლს რომ წასულა, ხუანთქარს წინაშე გამარჯუებია, მაშინდელი შეწირული ყოფილა, იმ დღის გამარჯვებისათჳს შეუწირავს რატია მისი ყმით, მდივანი ყოფილა ქრისტეკოჩი რატია, სტანბოლს წაუტანია, და ბედნიერს ხუანთქარს წყალობად დადიანისთჳს ხომალდები უბოძებია, მის მაგიერად იქ სტანბოლს დაუგდია ხომალდის წინამძღრად, უბოძებია ხომალდის მდივნობაჲ, მებაჟობა და მოლარობაჲ. ახლა ჩუენ ვიგულეთ და ვიგულსმოდგინეთ, როგორათაც შეწირული ყოფილა, ისევე ხატს შევსწირეთ, ზემოთ ამ წიგნშიდ ლევან დადიანს გაუჩენია, ისე ჩუენც ნება დაგჳრთავს და შეგჳწირავს გაბრიელ რატია და პაპუნაჲ მისის ყოვლისფერითა, ჩუენ კელმწიფეს, დადიანს, ბატონს ლევანს, და თანა-მეცხედრესა ჩუენსა, მეფის ალექსანდრის ასულს, დედოფალს, ბატონს თინათის (sic), გჳბოძებია პაპუნა რატიასათჳს ხომალდები, სადაც დადგეს, ტყაყურს და მორკვლას, ანაკლიას, ხორგას, მდივნობაჲ, მებაჟობაჲ, ჩუენი სახლის მოლარობაჲ, მოლარე-უხუცეს გარეთ, მოლარეს უფროსობა გჳბოძებია. როდესაც ხატი ილოცოს, მასინძლობის მეტი სხვა მართებლობა არაფელი ეთხოება, და სულის წმიდის მოსვლის დღეს ცხრა ხუცებით ჟამსა სწირევდენ, საწირავი ბატონმან უნდა უბოძოს. ვინცა და რამანცა ძმან კაცისამან... ჩუენი შეწირული გამოსწიროს... მასცა ურისხდების მთავარ ანგელოზი წაჩხურისა მიქელ და გაბრიელ... 13)“

„ასე რომე ქრისტეკოჩი ჩუენი პაპის ერდგული ყოფილა, მერმე და სხვანი მომავალი ერთგული ჩუენი სახლისა არის, პაპუნაი რატია.... ასე რომე ხატის სამსახურები 14) და შემდგომი დადიანისაგან, ძუელად ლიონ დადიანისა, და ლევანისა, ვამეყისა, იესე ბატონიშვილისა, ჩუენც ძველ წყევასა ვერ შევარდით, მათი გარიგებულებაჲ ჩუენც ვერ მოვშალეთ, ჯერ არის ხატის ერდგული და შეწირული მთავარ-ანგელოზისა, და მერმე ჩუენი სახლისა ერდგული არის. ეს ძველი წყევა და ახალი წყევა მას მიეცემა, ვინც ეს, სიგელში სწერია, მოშალოს... 15)“

ხელ-ჩართულად ხელს აწერს: „ლევან დადიანი“ 16).

ამ გუჯარში მოხსენებული ლიონ დადიანი არის ლევან I, მამია III-ის ძე. 1546 წ. ლევანი შეიპყრა ბაგრატ III, იმერეთის მეფემ, და დააპატიმრა გელათს, მაგრამ ხაფილანდრე ჩხეიძემ გამოაპარა ლევანი და მოიყვანა ახალ-ციხეს. შემდეგ ლევანმა ათაბაგის და გურიელის დახმარებით დაიჭირა ოდიში. 1569 წ. ლევანმა ვერ გაუძლო იმერეთის მეფის, გიორგი მეორის, და გურიელის გიორგის ბრძოლას და წავიდა სტამბოლს. ხვანთქარმა მოსცა აზრუმ-ტრაპიზონის ჯარი და ლევანმა ხელმეორედ დაიჭირა ოდიში. ლევანი მოჰკლეს ნადირობის დროს 1572 წ. ხომალდების ჩუქება ლევანისათვის არ არის მოხსენებული ქართლის ცხოვრებაში (ქ. ცხ. ტ. II, გვ. 190—192, 276—278).

ლევან პირველის შემდეგ დადიანობა ეჭირათ მისს შვილებს—გიორგი III († 1582), მამია IV († 1590) და მანუჩარ I († 1611). მამიას და მანუჩარს ჩვენი გუჯარიც იხსენიებს. მანუჩარ პირველის შვილი და მემკვიდრე იყო ლევან II, რომელსაც ეკუთვნის პირველი ნაწილი ჩვენის გუჯრისა. ლევან II დადიანად დაჯდა მამის სიკვდილის შემდეგ 1611 წ. და მიიცვალა 1657 წ. (ცოლი მისი ნესტან-დარეჯანი, რომელიც ჩვენს სიგელში მიცვალებულად იხსენიება, მოკვდა 1539, თუ 1540 წელს 17). აქედგან სჩანს, რომ პირველი ნაწილი ჩვენის გუჯრისა დაწერილი ყოფილა 1639—1657 წლებში. გასაკვირველია მხოლოდ ერთი გარემოება: ნესტან-დარეჯანი აქ კახელ-ქალად, ანუ კახელად იხსენიება —„და მეცხედრისა ჩუენისა ნესტან-დარეჯანისა კახელისა სულისა საკსრად და საოხად“—მაგრამ, როგორც ვიცით, ლევანის ცოლი, ნესტან-დარეჯანი, ჰილაძის ქალი იყო. აქ, ჩვენის აზრით, შეცდომა უნდა იყოს და შეცდომა მით აიხსნება, რომ ლევანის დედასაც ნესტან-დარეჯანი ერქვა, და ეს ნესტან-დარეჯანი მართლა კახელი იყო, ასული კახეთის მეფის ალექსანდრე II-სა. მწერალს ვანაობა ამ ორის ნესტან-დარეჯანისა აურევია. ბროსსეს თარგმანში, როგორც მოვიხსენიეთ, სიტყვა „კახელისა“ არ არის.

ლევან II სიკვდილის შემდეგ დადიანად დაჯდა ლიპარიტ III, მაგრამ ალექსანდრე მეფემ იმერეთისამ ლიპარიტ განაძო და დადიანად დასვა ვამეყ III, რომელსაც ეკუთვნის მეორე ნაწილი ჩვენის გუჯრისა. ვამეყი იყო შვილი პირველ ლიპარტიანად ცნობილის გიორგისა. 1660 წ. (ვახუშტის ცნობით 1661 წ.) ვამეყი გადააგდო ვახტანგ V, ანუ შახნავაზმა, და დადიანად დასვა შამან-დავლე, ანუ ლევან III, იესე ბატონიშვილის ძე. ლევან III ანუ შამანდავლე მიიცვალა 1680 წ. ვამეყ III დადიანად იყო 1658—1660 წ. და მეორე ნაწილიც ჩვენის გუჯრისა ამ წლებშია დაწერილი 18), ხოლო უკანასკნელი ნაწილი ეკუთვნის შამან-დავლეს, ანუ ლევან III, და დაწერილი უნდა იყოს 1661—1680 წლებში. ვამეყის ცოლი ელენე სვიმონ გურიელის ასული იყო. თინათინი, ლევან მესამის ცოლი, იმერეთის მეფის ალექსანდრე მესამის ქალი იყო, სხვა დაწვრილებითი ამბები თვით ჩვენს გუჯარშია მოხსენებული.

ე. თაყაიშვილი

შენიშვნები

1) ბროსსე თარგმნის: ზეცის უსხეულოთა ძალთა ერის მთავარო, (*toi le chef des legions immatérielles du ciel..*).

2) დედანში უქარაგმოდ სწერია: დამსიშვილი.

3) ბროსსეს თარგმანში სიტყვები“ ორმოცდა თორმეტი მოსახლე კაცი ორი სასახლით“ გამოშვებულია.

4) ბროსსეს თარგმანში: „ღვთის ძალით“ (*par la puissance divine*).

5) ბროსსეს თარგმანში სიტყვებიდგან „და ასე გაურიგებიან“—აქამდე გამოშვებულია.

6) ბროსსეს თარგმანში უკანასკნელის სამის სიტყვის მაგიერ სწერია „ისერის“ (*d'Jser*), ესე იგი პირველი ორი სიტყვა შეერთებულია და მიღებულია საკუთარ სახელად, ავტორი იქვე შენიშნავს, რომ ეს სიტყვა, რას ნიშნავს, არ ვიცით.

7) ეს სიტყვა ბროსსეს თარგმანში არაა.

8) აქ და სხვა ამგვარს შემთხვევაში ჩვეულებრივი გრძელი წყევლა არ მოგვყავს.

9) სიტყვებიდგან „მის კარზე არაფელი“ აქამდე ბროსსეს თარგმანში გამოშვებულია.

10) ბროსსეს თარგმანში სიტყვებიდგან „მისი გამარჯვებისათვის“ აქამდე გამოშვებულია და ამის მაგიერ და აგრეთვე იმ სიტყვების მაგიერ, რომელიც ეხლა გუჯარში აღარ განირჩევა, სწერია, რომ სახსოვრად თავის გამარჯვებისა მას (ლევან დადიანს) ნამდვილს სიგელში დაუწერიაო (*en memoire de ses succès, il était écrit dans un acte authentique*). მერმე მოყვანილ ია ზემო ნაჩვენები სიტყვები „ჩუენ ეხლა“ და სხვა.

11) ბროსსეს თარგმანში სწერია; „ვამეყ ლიპარტიანი“. ჩვენ მეორე ხელ-ჩართული ელენედ წავიკითხეთ. ამ ჟამად ხელში აღარა გვაქვს დედანი, რომ ეს სიტყვა ხელმეორედ შეგვემოწმებია. ამიტომაც არ შეგვიძლია გადაჭრით თქმა, რომელი კითხვა უფრო მართალია.

12) აქ იგულისხმება შახ-ნავაზ, ანუ ვახტანგ *V*.

13) აქ გაგრძელებულია ჩვეულებრივი წყევლა.

14) ბროსსეს თარგმანში სწერია: „და ეხლა პაპუნაჲ რატია ხატის მსახური არის“ (*et maintenant Papouna Batia est le ministre de l'image*).

15) აქაც მოყოლილია წყევლა, თუ ორშაბათს მოიშალა სიგელი, რომელი წმიდანი უნდა გაუწყრეს მომშლელს, სამშაბათს რომელი და სხვა (ჩამოთვლილია ყველა დღე კვირისა).

16) ეს ხელის მოწერა არ ყოფილა ნაჩვენები ბროსსეს ასლში და ამიტომაც ბროსსე უკანასკნელის პარაგრაფის შესახებ შენიშნავს, არაფერი არ უჩვენებს ვის ეკუთვნის ეს დამატებაო.

17) *Hist. de la géor. t. II. liv. I. p.* 647.

18) *ibid.* იხ. აგრეთვე ქ. ცხ. ტ. *II*, გ. 248—249.

ე. თ.